ნაუმ ტურაბელიძე - თვალსაჩინო მეცნიერი, აკადემიკოსი, მეცნიერებათა დოქტორი

მისი მრავალმხრივი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო საქართველოს მიწის რესურსების გამოყენების პრობლემები საადგილმამულო ურთიერთობათა ახალ პირობებში და მისი გადაწყვეტის გზები. მისი სადოქტორო დისერტაციის თემაც სწორედ ეს იყო.თემა აქტუალური და ყოვლისმომცველი იყო. დისერტაციაში საფუძვლიანად იყო განხილული მიწის ფონდის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების ყველა საკითხი, რაც შემდგომში საფუძვლად დაედო ყველა მისი დისერტანტის მიერ დაცულ დისერტაციებს, ასევე გამოცემულ სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომებს. შესაბამისად იყო გამოქვეყნებული სტატიები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

მისი ნაშრომებიდან ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ორი წიგნი: „საადგილმამულო ურთიერთობათა საფუძვლები" და პირველად ქართულ ენაზე - „საქართველოს მიწის სამართალი", რომლებშიც მწყობრადაა წარმოდგენილი მიწის კანონმდებლობა და ასახულია საქართველოს ადრინდელი და თანამედროვე მიწა-წყლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

თუ რამდენი იყო საქართველოს ძირძველი ტერიტორია, რა დაგვრჩა და რა შეუძლია დღევანდელს, რა სახის და რამდენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოება შეუძლია, როგორც შიდა მოხმარებისათვის, ასევე საექსპორტოდ. ყოველივე მისი და ქართველი მეცნიერების მიერ ქვეყნის მიწის ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე შეჯამებულია და მთლიანობაში წარმოდგენილი, რაც დიდი დროით თითქმის უცვლელია.

ნაუმ ტურაბელიძე ათეულობით წელი ხელმძღვანელობდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიწათმოწყობის კათედრას. 2006 წელს ეს კათედრა გააუქმეს...

„დასანანია, რომ ახალმა მთავრობამ არ გაითვალისწინა, რომ ქვეყანას ესაჭიროება სამიწათმოწყობო სამსახური და კადრი, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან დღეს მხოლოდ საქართველოა, რომელსაც აღარ აქვს სამიწათმოწყობო სამსახური, გაუქმდა დიდი შრომითა და რუდუნებით შექმნილი მიწათმოწყობის კათედრა... არადა დღეს იძულებული ვართ სპეციალისტები საზღვარგარეთიდან მოვიწვიოთ და ვუხადოთ ფული.... არადა მიწების მოწყობასა და მოვლა - პატრონობას დიდ ყურადღებას აქცევდნენ ჩვენი წინაპრები - პირველი და ხარისხიანი მიწათმოწყობა ჩაატარა საქართველოს დიდმა მეფემ ფარნავაზმა. შემდგომ პერიოდებშიც სათანადო ყურადღების ქვეშ იყო ეს საკითხი..." - ციტატა ნაუმ ტურაბელიძის ავტობიოგრაფიული წიგნიდან.

შემდგომ პერიოდში ნაუმ ტურაბელიძე მიიწვიეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოდეზიის კათედრაზე. სპეციალობის ყველა ძირითადი საგანი გადმოტანილ იქნა აღნიშნულ კათედრაზე. დაემატა ასევე საგანი - მიწის კადასტრი. თითქმის გადაარჩინეს სპეციალობა იმ პერიოდში.

იგი თავის აღზრდილ სპეციალისტებთან ერთად წერს და აქვეყნებს სასწავლო და სახელმძღვანელო ლიტერატურას. გაკეთდა მეოთხე განმეორებითი გამოცემა ,,საქართველოს მიწის სამართლისა" (თანაავტორები, დოქტორები, ნელი ბერიძე და ფატიმა ქვაცაბაია), გამოიცა მეხუთე სახელმძღვანელო - „მიწის კადასტრი" (თანაავტორი, დოქტორი ფატიმა ქვაცაბაია), მეექვსე სახელმძღვანელო - „მიწის რესურსების მართვა" (თანაავტორი, პროფესორი ნელი ბერიძე), მეშვიდე სახელმძღვანელო - „მიწათმოწყობა" (თანააავტორი, დოქტორი, შორენა ცაავა) მერვე სახელმძღვანელო „სამიწათმოწყობო დაპროექტება", აღნიშნულის გარდა მის მიერ დაწერილი და გამოცემულია სახელმძღვანელოები: „სამეურნეობათშორისი მიწათმოწყობა", „მიწათმოწყობის მეცნიერული საფუძვლები", ,,სოფლის დასახლებული ადგილების დაგეგმვა", „გეოდეზიური სამუშაოები მიწათმოწყობაში", „მიწების გამოყენების პროგნოზირება". „მიწის ფასის განსაზღვრის მეთოდიკა", „მიწათმოწყობა გეოდეზიის საფუძვლებით"... სია დიდია, იგი ასევე ავტორია 80-მდე სამეცნიერო ნაშრომისა. 60 წელი იმუშავა სპეციალობით. 20 წელი ეწეოდა პრაქტიკულ საქმიანობას, 40 წელი გაატარა სასწავლო დაწესებულებებში. 25 წელი იყო მიწათმოწყობის კათედრის გამგე. მის ხელში გაიარა ათასობით სტუდენტმა, მისი ხელმძღვანელობით დაცულია 7 სადოქტორო. არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები - მათ შორის ღირსების ორდენი.